ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერა

№6 2002 წელი

F 343
2002

ემაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეკურიოზული ძაღლიები

ვაჟა ბაბუ

ლალი ჯაფარაშვილი

ალვეები თოვლის მოლოდინში

ქარმა ფოთლის სამოსელი
შეშინებულ ალვებს
წაართვა და მიაყარა
მიმცხრალ მთვარის ნამლევს!
ამინდია არეული,
ცა – გაუცინარი,
ალვის შიშველ რტოებს შუა
დაქრის ცივი ქარი...
იქნებ მთვარემ ახალწულმა
მოიეოლოს თოვლი,
შემოაყლოს დამზრალ რტოებს
ქათიბი და მოვი,
სიზმრად ჩაჰქვეთ გაზაფხული,
ძილს მიეცნენ ხანგრძლივს...
ჯერ კი სამოსგაძარცულებს,
შიშველ ტანზე აწვიმთ!

ლია კოტბალაძე

ზამთარი

თეთრ მერანზე თეთრი შოლტით
ამხედრდება ქარაშოტი,
ხეებს ლაღად ტანაშოლტილთ
ჩამოსტეხებათ სადღაც ტოტი.
ცა და მიწა შეერთდება
უნაზესი ფიფქის ბონდით,
ბუქნას დაჰკრავს ბუკნა ჭოტი.
თოვლი მოდის...
თოვლი მოდის...

ვაჟა ყუბუსიძე

თეას თხოვნა

დღეს ისე თოვს, როგორც არსად,
არასოდეს უთოვია,
თეას თოვლის ბაბუასთან
სათამაშო უთო მიაქვს;
ეუბნება: ქეთლის* ტოლი
მოგიტანე უთო მეო,
თოვლი,
თოვლი,
თეთრი თოვლი,
თოვლი გამიუთოვეო.

*ქეთლი — ჩაიდანი

დალი მაზმიშვილი

მომიქსოვე წინდა

თოვს, ფიფქები ცვივა ციდან,
ფიფქი ჰფენია ზღაპარს, –
თურმე ბევრი და-ძმა ჰყავს და
ჰყავს ბებოც და ბაბაც;
თურმე ძლიერ ცელქია და
თანაც ერთი ციდა,
მოიმარჯვების თოვლის ციგას
და ეშვება ციდან.
მეც მასავით თოვლი მიყვარს,
გარეთ ეოფნა მინდა,
ბებო, ჩქარა, არ შემცივდეს,
მომიქსოვე წინდა!

მხატვარი ნანა სანაია

ეროვნული ბიბლიოთეკა
T 8668
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

რქაწითლის აკიდობა

მე და ჩემი მეზობელი გოგიტა ვენახებში გონგორაზე* წასვლას ვაპირებდით.

— სოხუმელიც წავიყვანოთ! მითხრა მან.

„სოხუმელს“ აფხაზეთიდან ლტოლვილ ჩვენს თანატოლ ბიჭს ვეახით. გუბაზს ვინც ჰკითხავს, სადაური ხარო, სოხუმელი გახლავართო, უპასუხებს.

გუბაზს სოხუმი ძალიან ბუნდად ახსოვს. ორი-სამი წლის ყოფილა, მშობლებთან ერთად აფხაზეთი რომ მიუტოვებია.

მისი უმცროსი და-ძმა, ტყუპები ანო და ვანო აქ, ქიზიყში დაიბადნენ, ისინიც გაიძახიან, სოხუმელები ვართო.

— მოდი და ელაპარაკე ამათ! — ვთქვი ერთხელ.

— ვერ გაამტყუნებ. ხვალ თუ ზეგ ეგენი აფხაზეთში დაბრუნდებიან და, სოხუმელები იქნებიან! — გამეპასუხა გოგიტა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, გონგორაზე გუბაზის წაყვანაც გვინდოდა. გავუარეთ სახლში. მან არ დაგვიხვია და უიმისოდ დავეშვით ჩვენი სოფლის ვენახებისაკენ.

ვენახები შრიალ-შრიალით შემოგვეგება. უბერავდა ალაზნის ველის ჭინჭარივით მსუსხავი, ცივი ნიავწანწალა და ვაზის გაყვითლებულ ფოთლებს წალმაუკუღმა დაფრიალებდა.

დავრბიავართ ვაზის რიგებს შორის მე და გოგიტა. ვეძებთ ლერწზე შერჩენილ ყურძნის მტევნებს და ერთმანეთს ჭოტებივით გავძახით:

— იპოვე?!

— ვერა, ვერა, შენ?

— ვერც მე!

რა ძუნწები ყოფილან ვენახის პატრონები. ერთი კუფსალი მოლოდინაც არ შეუნარჩუნებიათ ვაზისათვის! ვფიქრობ გულმოსული და ვენახის ბოლოდან გოგიტას ხმა მესმის:

— ვიპოვე, ვიპოვე!

იმ წუთას მეც შევასწარი თვალი რქაწითლის მტევანს. ფოთლებში წითელ-ყვითლად ლუოდა, ნიავი წანწალა ანანავებდა.

— მეც ვიპოვე, გოგიტაა! — გავძახე გახარებულმა. მტევანი ვაზიდან ჩამოვწყვიტე და პირი ვტაცე. გემო გავუსინჯე. უუ, რა ტკბილი იყო, ცივი და ტკბილი, ნამდვილი თაფლის წუწნა. ავსებდი ყურძენს და თვალი სხვა ვაზებისკენ გამირბოდა.

თუმე სულაც არ ყოფილა ძუნწი და ქვაწვთა ვენახის პატრონი. ვაზებში მოთარეშე ველის ნიავი ხან აქ, ხან იქ აჩენდა ფოთლებში მიმალულ ყურძენს. ლამის თავი მოვიკალი ჭამით. ახლა ვაზებს შორის იმოტომ დავძვრები, რომ ცოტა სახლშიც გავაყოლო სასუსნავად. ლერწზე ჩამოკონწიალებულ მტევნებს აკიდობად ვწყვეტ და ხელში ვაგროვებ.

უცებ ცოდან ყინულივით ცივი წვიმის წვეთები წამოვიდა. ვენახში დიდხანს გაჩერება აღარ შეიძლება.

— არ გვეყოფა, ბიჭო? — მეძახის გოგიტა.

— გვეყოფა! — ხმამაღლა გავეხმიანე და ორივე სოფლისკენ ავჩქარდით. იმასაც ჩემსავით აკიდოებით დაუშვენებია ხელი.

სოფელში რომ შევედით, წინ მოულოდნელად სოხუმელი შემოგვხვდა.

— თქვენთან მოვდიოდი გონგორაზე!

— დაიგვიანე, წვიმა დაიწყო! — ვთქვი მე.

— ხო, წვიმს! — გუბაზმა ჩვენს აკიდოებს თვალი შეავლო.

მე და გოგიტამ ვიცით, რომ გუბაზიანთ ვენახი არა აქვთ. რთველში ოჯახიანად მეზობლები ვეპატიჟებით ხოლმე. გოგიტამ გუბაზს აკიდოები გაუწოდა:

— აბა, გამომართვი!

— სულ, ბიჭო? — გაუკვირდა იმას.

— აბა, რა, გამომართვი, ჩვენ იმდენი ვჭამეთ, ლამის მუცლები დაგვისკდა. არა, თემურ? — გოგიტამ ღიმილით გადმომხედა.

* **გონგორა** — რთველის შემდეგ ვენახში აქა-იქ შემთხვევით დარჩენილი ყურძენი.

აკიდღები ახლა მე გავუწოდე.

— ეს კი ანოს და ვანოს წაუღე, ღმერთმა შეარგოთ!

— გმადლობთ, ბიჭებო, მე რომ აფხაზეთში დავბრუნდები, იქ თურმე მანდარინის დიდი პლანტაცია გვაქვს, მანდარინის რთველში დაგპატიჟებთ!

— გონგორა იქაც იცით? — ჰკითხა გოგიტამ.

— ვიცით, აბა, არ ვიცით? მამამ თქვა სიყმაწვილეში მანდარინის გონგორაზე მივლიაო, — დარწმუნებით თქვა სოხუმელმა და ტკბილად გაგვიღიმა.

წვიმამ მოუხშირა. ცხვირ-პირზე წუწი ჩამოგვივიდა, სახეზე სიცივისაგან ტაო აგვეშალა.

— ეხლა კი ჩიტი თავის ბუდეშია! — თქვა გოგიტამ და შინისაკენ გაიქცა. მეც ავჩქარდი. მარტო გუბაზი მიდიოდა სახლში დინჯად, აუჩქარებლად. ალბათ იმიტომ, რომ აკიდღებს ჟურნის მარცვალი არ გასცვივნოდა, ფრთხილობდა.

ბავშვთა შემოქმედება

შანეტა არჩვაძე,
10 წლის

მე, პატარა ანა, ღამე შემიყვარდა

გაზაფხულის ერთ ლამაზ საღამოს ბაღში ვიდექი და ყვავილების სურნელით ვტკბებოდი. ნელ-ნელა ჩამოწვა ბინდი, დაღამდა... ასე ახლოს არასოდეს მენახა ღამე. ცას შევცქეროდი და დავინახე, როგორ მოიტაცა ღამის კუდიანმა რამდენიმე ვარსკვლავი. გავეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიე, შორს წასვლისაც შემეშინდა. ისევ მთვარესთან და ციცინათელებთან თამაში ვარჩიე. კარგა ხნის მერე თავხედი კუდიანი ისევ დაბრუნდა, კარგ საქმეზე მოსულს არ ჰგავდა. ვიფიქრე, მამაცურად დავუხვდებიმეოქი, მაგრამ იმან არც აცხელა, არც აცია, მთვარეც მოიტაცა და დანარჩენი ვარსკვლავებიც. ვუხმობდი, ვეხვეწებოდი, მაგრამ რას გავხდებოდი... თენდებოდა!

ლელა სვიმონიშვილი,
12 წლის

მზეს

ძილშიაც მზე მეზმანება,
გული სიამით ძგერს,
რა ლამაზია სიცოცხლე,
რა ლამაზია დღე!
ღამით მიმქრალი ნათელი,
ღრუბლების ტალახს ზელს,
დღისით კი მე მეფერება
და მე მიმდერის მზე.

ნუცა
ბლუაშვილი,
10 წლის



ირინე კვლიშვილი,
8 წლის

ია

ჩემო პატარა იაო,
რად ჭკნები ასე მალეო?
ქარბუქს ნუ გადაჰყვებიო,
იცოცხლე, გენაცვალეო.

ვანო ჩხიკვაძე

ფეხბურთი

ალბათ ყველა დაიჯერებს,
ვინც ჩემს ნათქვამს გაიგონებს —
ვერაფერი დამავიწყებს
იმ შეხვედრას და იმ გოლებს.

ყურცქვიტების „ცქნაფო“ უგებს
ღრუტუნების ცნობილ „ტლაპოს“,
ყვირილით ხმა ჩაეხრინწა
ჩხიკვს — ჭარტალა კომენტატორს:
„ყელი რითი ჩავიწმინდო,
რად დავტოვე გარგარი შინ.
ან მომკალით, ან გამიშვით,
კურდღლებს მიჰყავთ ანგარიში“.

სტადიონზე „ჯუნგლის“
ჰკრეს დაფსა და ბუკებს
და ჟირაფიც თამაშს
ამთავრებდა უკვე,

რომ იღბალმა ამ დროს
არ გასწირა „ტლაპო“.

ღრუტუნებმა უცებ,
გამოშსკდრებმა ფაფითა,
დედა ღორი ხვნეშით
წამოაგდეს ლაფიდან.

მანაც ფინტით ძველით
მოატყუა მცველი.

მოიღერა დინგი,
თავგანწირვით მირბის.

აეჯაგრა ტანი —
ბურთს ფლობს კაპიტანი.

არ გაუშვა შანსი,
ჩააწოდა პასი.

თეთრი, როგორც ბროლი,
გამოვარდა ღორი,
გაიტანა გოლი —
გახდა ორით-ორი.

მხატვარი თეა მიქაძ

ცქნაფო 2 : 2 ტლაპო

აირია მონასტერი,
იქ ამბავი დატრიალდა,
ბევრი ცხვირი დაიმტვრა და
სტადიონიც გატიალდა.

დათუნია ღიპუნამ
გადმოლახა ტრიბუნა,
ტურას დაჰკრა ტორი,
აადინა ბოლი.

შეემუვლებამ ძუ მგლის
წამოყარა „ჯუნგლი“.

ივვირეს და იხუვლეს,
მეტი როგორ მოეთმინათ:
— აბა, ჩქარა, ჟირაფი
გააძევეთ მოედნიდან!

ჟირაფი რომ გააძევონ
ჩაიშლება თამაში,
თანაც, დღეს რომ ემსაჯა
გადმოლახა ლა-მანში.

როგორც იქნა, დაშველდნენ
დაღლილები ბრძოლით.

ანგარიში უცვლელი
დარჩა ორით-ორი.

თუ გინდა, რომ არ გისტვინონ,
უნდა მაგრად გაიქაფო.

ტრიბუნები ტაშს უკრავენ
აქეთ —„ტლაპოს“,
იქით — „ცქნაფოს“.

მაისურები გაცვალეს,
თუმც ქუცუნებს დასწყდათ გული —
აბა, როგორ მოერგებათ
ყურცქვიტების მაისური.

„ცქნაფოს“ ყველა კურდღელი კი
სიხარულით ცას ეწია —
მთელი გუნდი დედა ღორის
სულ ერთ ტრუსში ჩაეტია.

ძუ მგლის თვალები

მამამ მგლის ტანზე შემოხვეული თოკების ბოლოები გადაუყარა მიტროს და წუწას. თოკი მგლს ყელზე შემოსჭდომოდა და მუცელზე ამოჰკვროდა. კაცებმა უსიტყვოდ გაიგეს ყველაფერი. ფეხები გაფარჩხეს, თოკის ბოლოები მაჯებზე დაიხვიეს, წელში მოიხარნენ. მამა ფრთხილად დასწვდა ხაფანგში გაჩხერილ თათს. მგელმა დაიგმინა, ახედა ადამიანებს და თვალი მილულა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვინ დაანება. სწორედ ამ დროს მამამ ხაფანგს ერთი ფეხი დაადგა, ხელი დააჭირა და თათიც გამოთავისუფლდა. სისხლმა გამოჟონა და ვერცხლისფერი ყავისფერბოლოებიანი ბეწვი წითლად შეღება. ნადირმა თათი მოიმარჯვა და ღოკვა დაუწყო ძაღლივით, თან მამას თვალს არ აშორებდა, ალბათ ემადლიერებოდა.

ულანგიანი ხაფანგი ჩხარწინით მიენარცხა კედელს, კუთხეში ურჩხულის კბილებდაკრეჭილ ხახასავით ყალყზე დადგა.

ერთ საათში მამამ კარი ფრთხილად შეაღო, კაცებს ხელი დაუქნია. მგელი გვერდზე იწვა, კარის ხმაურზე თავი წამოსწია. ბრმა ლეკვები დედის ძუძუებს შესეოდნენ, პირზე ქაფად მომდგარ რძეს ხარბად ყლაპავდნენ.

შენ მამას ამოუდექი გვერდით. შენი ძმაც იქვე იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეყო, ჭკვიანი დაფიქრებული თვალებით ისე დასცქეროდა მგელს და მის ლეკვებს, როგორც სასწაულს. შუბლზე ცისფერი ძარღვი დასჭიმვოდა, შენ დანახვაზე შეწუხდა. ხელი ჩაგკიდა, წინ დაგიყენა, მხრებზე დაგადო ხელები და დაგარიგა — ახლოს არ მიხვიდეო. ძმას თავი დაუქნიე, მაგრამ გეტყობოდა, რაღაცამ აგაფორიაქა, მამას ხელი ჩაჰკიდე და რაღაც ანიშნე, ისიც თვალებით დაგეთანხმა.

„მამა, — ეტყობა სათქმელს ვეღარ ითმენდი, — შეხედე“, — მგლისკენ გაიშვირე ხელი. მიგიხვდა მამა, რისი თქმაც გინდოდა და გაგიღიმა. მგონი ნიკაპი გითრთოდა, — „როგორი თვალები გაუხდა“... — ახლა ძმას ახედე და ჩუმად უთხარი.

„ეს რა არის, კაცო!“ — გაოცება ვერ დაფარა მიტრომ.

მგელი ნებივრად იწვა. თვალებს ხან მილულავდა, ხან თითქოს მორცხვად საითკენღაც გიხედავდა.

თვალები მზის სხივებს გაეთბო, ალერსით ღაღიმოდა, თითქოს ის ცისფერი რძეც ჩაღვროდა, ლეკვები რომ მიირთმევდნენ ახლა. მერე მუცლებგატიკნილები გაგორდნენ, შავი დრუნჩები ერთმანეთს მიადეს, ერთ წრედ შეიკრნენ და საამო ფშვინვა ამოუშვეს.

სანამ დედა გყავს, მისი უშის სითბოს გრძნობ, აბა, რისი უნდა გეშინოდეს, მგელი ხარ, თუ ადამიანი.

ახლა მგლის ყოველი გამოხედვა, სასიამოვნო ურუანტელს ჰგვრიდა ადამიანებს, მაგრამ ვერაფერი გაეგოთ, რა მოხდა, ვინ ჩაღვარა იმ სისხლიან თვალებში სიყვარული და მზის თვალისმომჭვრელი სინათლე.

„მეძუძური დედაა... — თქვა მამამ, — ვინ იცის, ნანასაც უმღერის შვილებს“. — გაიღიმა და ყველას ანიშნა წავიდეთო.

მე კი ვიდექი კანშემოცლილი და ვცახცახებდი სიმწრისაგან. ერთიც ვნახოთ, მიტრო გამოემართა ჩემსკენ, მხარზე პირალესილი ცული გაედო, მკლავზე ხერხი ეკიდა, უკან შენ მოსდევდი.

— „მიტრო ძია, მამამ მოდიოო...“ — უთხარი და თითქოს შეგეშინდა. მიტრომ ნაჯახი და ხერხი იქვე, ჩემს ფესვებთან დაიწყო და წავიდა. შენ შემობრუნდი, საიდანღაც ბარი აითრიე, ალბათ იქვე გქონდა გადანახული. რის ვაივაგლახით თხრიდი მიწას და ჭრილობაზე მაყრიდი. მიწა ნოტიო იყო, არ იპნეოდა, ზედვე მეკვროდა. შენ რა იცი, ჩემო კარგო, როგორ მეამებოდა გალოპილზე სველი მიწა. მიტროს მობრუნებამდე საქმეს მორჩი, დაიჩოქე, შენი პატარა ხელებით შემომატკეპნე. ტოტებიც მოატრიე და მიწანაყარს ზემოდან შემოაწყვე. მერე დაღლილი იქვე დაჯექი და ღიმილით ამომხედე. მე სხვა რა შემეძლო, ავაშრიალე ჩემი ფოთლები და შუბლზე მარგალიტებივით ამოცვენილი ოფლის წვეთები ნიავით შეგიშრე.

მიტრო მოვიდა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, შენ გეგონა ტყუილს ვერ მიგიხვდა? მაგრამ ცულს როგორ შემომკრავდა მოსაჭრელად, ისეთი რამის მნახველი.

— „ეს რა გიქნიათ?!“ — მოგეალერსა, აკრიფა თავისი იარაღები და სულ თავის ქნევით წავიდა.

ამის შემდეგ შენი დავიწყება შეიძლებოდა? აი, აკი მოგძებნე?!. ჩემი შვილი გაიზრდება, შენს ეზოში აშრიალდება, საამო ნიავს დააყენებს, ჩრდილს დაჰფენს ბიბინა ბალახზე, შენი მსგავსი გოგო-ბიჭები ითამაშებენ ხის ძირას, მე და შენ მოგვიგონებენ.

ეს როგორი კაცი იყო შენი მამა. როგორ იყო? ჰო, ამბობდნენ — მგელს ჯიშიანი ძაღლივით უვლისო. ლეკვები ისე გაზულუქდნენ, ძლივს ამაგრებენ სადგომშიო. კარის ღრიჭოშიც ძვრებიან, მაგრამ უკან დენისო. მგელიც ისე ხვდებოდა მობრუნებულებს, მგონი უღიმოდა. ძუძუს მიართმევდა, ჩაყუჩდებოდა, ცდილობდა, რძე შერგებოდათ.

მამამ — დაიზარდნენ, დროა გავისტუმროო.

„სადაო?“ — ჰკითხეს კაცებმა.

— „თავის საბრძანებელში, ტყეში.“ — იღიმებოდა მამა.

კაცები სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდნენ, ზურგს უკან მხრებს იჩეჩდნენ — რას ამბობს, ადამიანო, ძლივს ერთი დავიჭირეთ, ჭირი მოვიშორეთ, ეხლა ბევრი დაგვესხმება თავსო.

მამა მიუხვდა ხალხს, საყვედური ენის წვერზე ეკიდათ, და დაამშვიდა.

„თქვენ არ იდარდოთ. ეგ მგელი დღეის ამას იქით სოფლისაკენ პირს აღარ იზამს, არც ლეკვებს გამოუშვებს. თქვენ რა გგონიათ, ავ-კარგი რა, ნადირმა არ იცის?!“.

„ჰო, შკოლაშიც მიაბარებს“, — გაიცინა მიტრო ძიამ.

მამამ შუბლი შეიკრა და თავის მგლებთან შევიდა, მერე ეზოში მეზობლებს დააცქერდა.

„მთვარის ამოსვლისას მოხვალთ?!“ — ჩუჯკითხა.

„რატომაც არა, თუ კი საჭიროა...“ — საჭიროელწამხდარი უპასუხა მიტრომ. — „რა უნდა, ბებერ ვაკეთოთ, ა?!“

„რა და, ძაღლები მაგრად დააბით. საქონელიც კარგად დაბინავეთ.“

„მერე?“ — მოთმინება აღარ ეყო წუწას.

„წუწა, შენ თოფი წამოიღე. მეც თოფით ვიქნები. გელოდები.“

მეზობლები შინ წავიდნენ, მამაც ამოვიდა მაღლა. თოფი დატენა, ჩახმახი დაუშვა და კედელთან ააყუდა, რაღაცისთვის ემზადებოდა.

„უნდა დახოცო?!“ გაოცდა დედა.

„გაუშვებ, მამა?!“ თვალებგაგანიერებული ჩაეკითხა შენი ძმა.

მამამ თავი დაუქნია და გაუღიმა. თქვენც სული მოითქვითო.

მთვარე, თითქოს საგანგებოდ, მთის ძირიდან პირნათელი და მხიარული ამოსრიალდა. ისეთი კაკაჩი ღამე იდგა, ნემსის ყუნწში ძაფს გაუყრიდი.

ეზო მეზობლებით აივსო. რა დაგაძინებდა, შენც სწრაფად ჩაიცვი. არც არავის დაუშლია და შენინებს აედევნე.

ეზოს უკანა ჭიშკარი სწორედ ტყეს უყურებდა. მამამ ფრთხილად ფართოდ გააღო. მერე სადგომის კარი გამოხსნა, მთვარის შუქი ერთბაშად შეიღვარა შიგ. მგელმა შუქზე თვალები მოწკურა და წამოიწია, მამას დააცქერდა. ლეკვებს მშვიდად ეძინათ. წუწა მამას შეჰყვა, ფეხზე შეყენებული თოფი ზურგს უკან დაემალა. მამას თოფი შენს ძმას ეჭირა, მაგრამ ისე იდგა, მგელი ვერ ხედავდა. მამა მგლისაკენ დაიხარა, დანის წვერი ყელზე შემოხვეულ თოკს სწრაფად ამოჭრა და გადაჭრა. თოკი მგლის დრუნჩზე ჩასრიალდა და თივაში ჩაიკარგა. ნადირმა ნელი აითრია და წამოდგა, სადგომის კუთხე-კუნჭული, ისე მოიარა, თითქოს იქაურობას ემშვიდობება, მადლობასაც ეუბნებაო. მამამ ლეკვები წამოყარა, ისინიც ფართხა-ფურთხით დედას მისცვივდნენ. მგელი შვილებს ირიდებდა, სათითაოდ ცხვირით იგერიებდა, წინ იგდებდა, კარისაკენ მიერეკებოდა. მერე თვითონაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მამას გამოხედა. მამამ ხელი აუქნია, რაღაც შეუძახა. ნადირმა ფეხს აუჩქარა და წავიდა. სადგომის ზღურბლს გადააბიჯა. ეზოს დაადექერდა, მოულოდნელად ძუძუსეული გასწია ღია ჭიშკრისაკენ. ეზოს სიღრმიდან ძაღლების გნიასი ისმოდა. შედგა ნადირი, კიდევ გამოხედა მამას, თითქოს ლეკვები გადათვალა, წავიდა. ნელ-ნელა სიჩქარეს უმატა, ახლა კი, არ მიდიოდა, ოთხით გარბოდა. ლეკვები კისრის ტეხით მისდევდნენ, წკავწკავებდნენ უკან ჩამორჩენილები.

მგელი ტყის პირას შედგა, თავი მაღლა ასწია, ცას ახედა, მთვარეს შეჰყმუვლა, ვინ იცის, იქნებ ადამიანებს ქება უთხრა და ნაშიერით ტყეში გაუჩინარდა.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

F-8668

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის სიმღერა

მუსიკა მაიკო ელოდავილის
ლექსი გივი ბიჟინაძის



2. გულკეთილი თოვლის ბებო
თოვლის საფარს ქსოვს.
თეთრად მოსავს ხეს და ბუჩქებს,
არა კარგავს დროს.
თვალებსა გვჭრის ზამთრის დილა
თოვლი მოდის, თოვს...
თოვლის პაპა მოწყენილა,
თოვლში თამაშს გვთხოვს.

მის: აბა გუნდა, აბა ციგა!
ნუ დავკარგავთ დროს.
თოვლი მღერის, თოვლი ცეკვავს,
თოვლი მოდის, თოვს...
ვიციგაოთ, ვიგუნდაოთ!
ნუ დავკარგავთ დროს.
ჩვენც ვიცეკვოთ, ჩვენც ვიმღეროთ
შევეჯიბროთ თოვლს.

მხატვარი
თამარ სავჯაია

ეროვნული

ᲨᲔᲣᲚᲘᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

დემოკრიტე (460-370 წწ.)

მოდი, ძველი საბერძნეთის ერთ პატარა ქალაქს — აბდერას ვეწვიოთ.

თრაკიის ამ პატარა, არაფრით გამორჩეულ ქალაქში, ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე 460 წლით ადრე, ერთი უმდიდრესი და ცნობილი ვაჭრის ოჯახში ბიჭუნა დაიბადა. ახალშობილს დემოკრიტე დაარქვეს. ისტორიამ ამ ბიჭუნას ბავშვობისა და ყრმობის წლებზე ბევრი არაფერი იცის. მოგვიანებით, მდიდარი მამის გარდაცვალების შემდეგ, ხალხმა „უკეთ“ გაიცნო იგი.

მამის გარდაცვალებისთანავე დემოკრიტემ ყველაფერი გაყიდა და ქვეყნიერების გასაცნობად მოგზაურობა დაიწყო. მოიარა აღმოსავლეთის ქვეყნები. სტუმრობდა სახელგანთქმულ სწავლულებსა და ქურუმებს. მათგან იძენდა ცოდნასა და სიბრძნეს. სამშობლოში დაბრუნებულმა ფილოსოფიის შესწავლა გადაწყვიტა. საქვეყნოდ სახელგანთქმულ ათენს არ გაეკარა — თავსი სახელითა და მოღვაწეობით მას აბდერას — მშობლიური პატარა პროვინციული ქალაქის უკვდავყოფა უნდოდა. რამდენიმე წელიწადს ფილოსოფიურ თხზულებებს წერდა. ფული ხელში შემოადნა, მამულები გაპარტახდა. თანამოქალაქეებმა უმდიდრესი ვაჭრის უკვე ღატაკი მემკვიდრე შეშლილად შერაცხეს. შეშლილს მკურნალობა უნდაო და იმ დროისათვის სახელგანთქმულ ექიმს ჰიპოკრატეს უხმეს. ბევრი ისაუბრეს თანატოლებმა. ბოლოს, მედიცინის მამამ და ასკლეპიოსის დიდმა შთამომავალმა პაციენტის „დიაგნოზი“ საჯაროდ გამოაცხადა: დემოკრიტე უჭკვიანესია იმ კაცთა შორის, რომლებთანაც ოდესმე მქონია ურთიერთობაო. ამ დროს ჰიპოკრატეს ათასობით ადამიანი ჰყავდა განკურნებული.

ᲐᲑᲓᲔᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲔᲪᲜᲔᲜ

ჰიპოკრატეს დიაგნოზი შეუვალი იყო. თანამოქალაქეებს დიახაც ახარებდათ დემოკრიტეს ჯანმრთელობა, მაგრამ ბერძნულმა კანონმა ისინი გვარიანად ჩააფიქრა: დემოკრიტე, თუ შეშლილი არ იყო, სასამართლოზე უნდა წარმდგარიყო. იგი, როგორც მფლანგველი მემკვიდრე, კანონის ძალით ქვეყნიდან უნდა გაეძევებინათ. განაჩენის პასუხად გენიოსმა ფილოსოფოსმა ხალხს თავისი ნაშრომი — „დიდი დიაკოსმოსი“ წაუკითხა. განსასჯელის სიბრძნემ თანამედროვენი იმდენად გააოცა, გაკოტრებულ ბრძენს გაცილებით მეტი თანხა მიუბოძეს, ვიდრე მემკვიდრეობით ერგო.

ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲛᲐᲚᲐᲕᲡ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲘᲒᲘᲟᲔ ᲔᲥᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ?!

ყველაფრის პირველსაწყისის მაძიებელმა დემოკრიტემ, აზროვნებისას ყურადღება რომ არ გაჰფანტვოდა, თავი დაიბრმავა! ამ ნაბიჯმა კიდევ ერთხელ შეაშფოთა აბდერის მშვიდი ცხოვრება. ქალაქელებმა ისევ ჰიპოკრატე გიახსენეს, ოღონდ ამჯერად მხოლოდ მისი საქვეყნოდ ცნობილი ფიცის ერთ-ერთი მუხლი: „დავიცავ ავადმყოფის საიდუმლოს!“... იქნებ მართლაც შეშლილი იყო მათი თანამოძმე და ჰიპოკრატემ, ექიმის ფიცის თანახმად, დამალა დემოკრიტეს სიგიჟე?

გაივლის თითქმის საუკუნე და დიდი არისტოტელე დემოკრიტეზე იტყვის: ეს იყო კაცი, რომელიც ყველაფერზე აზროვნებდაო.

ათასწლეულთა შემდეგ „შეშლილი“ დემოკრიტე ანტიკური ეპოქის ბერძენთა შორის „ყველაზე დიდ ენციკლოპედიურ გონებად“ მონათლეს.

მოამზადა ალეკო გაგელაია

მხატვარი ზაურ დეისაძე

ვლადიმერ ვრიხოდკო

ვველეშაპის ამბავი

გადმოაქართულა
მარიამ წიკლაურ-ძიძიგურმა



ფრანი

ფრანის დამზადება ილი და სახალისო საქმეა. ერთმანეთზე უნდა გადაბა ორი ჯოხი, რომელთაგან ერთი მეორეზე ორჯერ გრძელი იქნება, ჩაჭრა ჯოხების კიდეები ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და შეკრა თოკებით.

ამის შემდეგ კარკასი (ჩონჩხედი) დაადე პერგამენტის გამჭვირვალე ქაღალდს და კონტურის მიხედვით ისე გამოჭერი, რომ 5 სმ-ით სცდებოდეს კიდეებს. ქაღალდი გადაჭიმე და კარგად დაამაგრე, მერე კი თოკი გამოაბი და ფრანი გასაფრენად მზად არის.

შეგიძლია ნახატებით დააშშვენო და შენთვის სასურველ ცხოველად ან ფრინველად აქციო.

მხატვარი გია ლაფაური

სალომე ომიაძე

ანა და აჩიკო

— მოაშორე შენი ფისო,
ცუგო დამიკაწრა.
ცხვირწინ გამოურბინა,
მერე ხეზე აძვრა.

— ვინმე უნდა დაკაწრონ,
ეს კატების წესია.
გირჩევ, ცუგო ჩაკეტო,
ასე უკეთესია.

— დაამწყვდიე შენ თვითონ,
სანამ მოხვდა კეტი!
ცუგო რატომ დავსაჯო,
შეუყეფა ერთი.

— ეს რა სამართალია?
აი, დავიდარაბა!
შენი ცუგო ავუშვათ,
ჩემი ფისო დავაბათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობის დღეს

მერი ბოლქვაძე

მთელი ღამე თოვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ღამე თოვდა,
მთელი ღამე თოვდა,
მთელი ღამე თოვლი
თოვლის ზღაპარს ქსოვდა...

ცოყვი ბუბუ თავის სახლ-ფუღუროში იჯდა, თხილს აკნატუნებდა და თან ლექსს თხზავდა: „მთელი ღამე თოვდა"; მართლაც, თოვდა, ციოდა ძალიან, ძალიან და ძალიან-ძალიან ქარიც ქროდა. „მთელი ღამე ქარი..." გააგრძელა ბუბუმ ლექსის თხზვა და... „წი-წი" — გარედან ყრუდ სუსტი, საწყალობელი წიწინი შემოესმა. ყურები დაცქვიტა ბუბუმ, ხომ არ მეჩვენებაო, მაგრამ, კიდევ რომ განმეორდა წიწინი, ფეთიანივით კარს ეცა, გამოაღო, თავი ფრთხილად გაყო. სიბნელეში, თოვლის არეულ-დარეულ, აწეწილ-დაწეწილ ბორიალში ძლივს გაარჩია: იქვე კართან ტოტზე სიცივისაგან მთლად მოკუნჭნული, მხრებში თავჩარგული ჩიტი იჯდა.

— ნაბი!..

— ბუბუ, ბუდე თოვლიი ამეკვსო, ნაძვის ქვეშ შეძრომა ვერ მოვასწარი, შემომაღამდა, — ნაბიმ სიცივისაგან გაყინული ნისკარტი ძლივს გახსნა.

— შემოდი ფუღუროში, ჩქარა!

— ფეხები არ მიშვებენ...

ბუბუ სწრაფად გახტა გარეთ:

— ფეხები არ გიშვებენ კი არა, ყინვა არ უშვებს შენს ფეხებს, ესე იგი, შენც, — დასაკვნა ბოლოს, როცა კარგად შეათვალიერა ჩიტი, — აბა სცადე, იქნებ როგორმე აადრო ტოტს ეგ შენი ჩხირა ფეხები.

ნაბი ეცადა, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ ბუბუ გვერდით მიუჯდა, მიეხუტა და თავისი გრძელი, ლამაზი, ბაბუაწვერასავით გაბუებული, ფუმფუტა, ღუნღული კუდი გარშემო შემოავლო; — ცოტაც და, მთლად გაიფიჩხებოდი და ქანდაკებად იქცეოდი; ახლავე გავალღობ მაგ შენს ყინულს...

— ბუბუ, შენც გაიყინები, — ახლა ნაბიმ შეიცოდა.

— არაფერიც არ მომივა, ძალიან თბილი ქურქი მაცვია...

კარგა ხანს ისხდნენ ასე. მართალია, ცოტა კი შესცივდა ბუბუსაც, მაგრამ მაგას ჩიოდა? ოღონდაც ნაბისათვის ეშველა რამე... ნაბი კარგად რომ გაობა, ისე, რომ ფეხები ტოტს მოსცილდნენ, ბუბუმ სულ ციმციმ შეარბენინა ფუღუროსახლში; მაშინვე თხილები და კაკლები დაუყარა წინ და შესთავაზა:

— მოდი, ახლა თხილი და კაკლები ვჭამოთ.

— მაგხელებს როგორ გადავყლაპავ? — გაუკვირდა ნაბის.

— ვინ გითხრა, გადაყლაპეო; მე დავკენეტ, დავანამცეცებ, შენ აკენკე!

ასეც მოიქცნენ.

მერე ბუბუმ, თუმცა ფუღუროში თბილოდა, ნაბის ისევ შემოავლო თავისი გრძელი, ლამაზი, ბაბუაწვერასავით გაბუებული, ფუმფუტა, ღუნღული კუდი:

— ახლა დაიძინე.

— შენც დაიძინებ? — ჰკითხა ნაბიმ.

— მე ლექსის თხზვა უნდა გავაგრძელო, — თქვა ბუბუმ და თვალები ჭერს მიაშტერა; ნაბიმაც ჭერს ახედა, ნეტავ იქ რას დაეძებსო, თან ჰკითხა:

— რაზე წერ ლექსს?

— თოვლზე, თოვლის ზღაპარს რომ ქსოვს, ზამთრის ზღაპარს რომ ქსოვს...

ნაბის თოვლის ხსენებაზე გააკანკალა:

— ოჰ, ბუბუ, ქსოვდეს, ქსოვდეს თოვლი თოვლის, ზამთრის ზღაპარს, ოღონდ, ნეტავ, ცხელ ზამთარს ქსოვდეს...

— ცხელი ზამთარი ვის გაუგია, დაიძინე, — ჩაისტვინა ბუბუმ და ნაბი დაამშვიდა: — ნუ გეშინია, ცხელი ზამთარი ჩემი კუდი იქნება, მთელი ზამთარი გაგათბობს.

ნაბიც დამშვიდდა, ბუბუს კუდში თავი უფრო ღრმად ჩარგო და დაიძინა.

ბუბუმ კი... აი, როგორი ლექსი შეთხზა:

მთელი ღამე თოვდა,
მთელი ღამე თოვდა,
მთელი ღამე თოვლი
თოვლის ზღაპარს ქსოვდა,
მთელი ღამე ქარი
კართან ხორხოცობდა,
ხიდან ხეზე ხტოდა,
გ ზიდან გ ზაზე რბოდა,
თავაწყვეტილ ქარში
თოვლი ზამთარს ქსოვდა,
სულისმოუთქმელად
ქსოვდა, ქსოვდა, ქსოვდა,
თოვლი ზამთარს ქსოვდა:
თეთრად, თეთრად ქსოვდა
და ქარს ღელვად ფლეთდა,
სიგიჟემდე.რევდა,
ამ ქათქათა თეთრში,
გაბმა მალულ ფერთა,
გამა — მალულ ფერთა,
ფეთქვა შვიდთა ფერთა...

ლექსი რომ შეთხზა, ბუბუ ჩაფიქრდა:

— მგონი, ცოტა რთული ლექსი გამოვიდა; მგონი კი არა, ასეა; ნაბიმ შეიძლება, ვერ გაიგოს; რა ვქნა? — კიდევ იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: — არაფერია, ავუხსნი და გაიგებს, ჭკვიანი ჩიტია...

მთელი ღამე თოვდა...

სტუმრად მწერალთან

დღეს თქვენი მასპინძელია „დილის“ დიდი ხნის მეგობარი, საბავშვო მწერალი მერი ბოლქვაძე:

ბავშვობაში საკმაოდ ცუდი ხასიათი მქონია, ხშირად ვტიროდი თურმე, ვჟინიანობდი. მამა თუ მომისწრებდა ტირილის დროს, აიღებდა გიტარას და ხმამაღლა მიმღერებდა, მე კი, ჯერ კიდევ პატარა, სიარულიც რომ არ ვიცოდი, გავყუჩდებოდი და ვუსმენდი.

დედა, ბაგრატიონ-ბაბადიშის ქალი, მეფე თეიმურაზ პირველის პირდაპირი შტოს შთამომავალი იყო. კითხვა იმან შემაყვარა. ჯერ სკოლაშიც რომ არ დავდიოდი, წიგნებს მიკითხავდა, ხშირად კითხვას წყვეტდა ძალიან საინტერესო ადგილას (განგებ, როგორც მერე გავაცნობიერე) და გარბოდა, თითქოს რაღაც საქმე გამოუჩნდაო. მე ველოდი, ველოდი... მერე გადავწყვიტე, ასოები შემესწავლა და თვითონ წამეკითხა. ყველა შევაწუხე, ეს რა ასოა, ეს რა ასოა-მეთქი? ვისწავლე კითხვა და მერე იმდენს ვკითხულობდი, დედა წიგნებს მიმალავდა.

წერა მუსიკის სიყვარულით დავიწყე. ეს ასე მოხდა: ძალიან მინდოდა დაკვრა მესწავლა, მაგრამ ჩემი ბავშვობა მეორე მსოფლიო ომს დაემთხვა, ჩემს სოფელში, წინანდალში, მუსიკალური სკოლა არ იყო. მე რაღაც მაფორიაქებდა, მაწუხებდა. ერთხელაც ავიღე კალამი და ის, რაც მუსიკით მინდოდა გამომეხატა, სიტყვით გამოვხატე.

მეუღლის — გიორგი სანაიას მივლინებასთან დაკავშირებით რამდენიმე წელი ინდოეთში მოგვიხდა ცხოვრება. საოცარი ქვეყანაა.

ეს სვეტი დელიშია. ამბობენ, ვინც ზურგით დადგება და ხელს შემოაწვდენს, სურვილი აუსრულდებაო. ხელს ვერავინ აწვდენს, მაგრამ ბედს, ჩემი არ იყოს, ყველა იქ ჩასული ცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯინჯიხაძე რომანოზ დანელია

სახალისო მათემატიკა



წინა წერილში ჭადრაკის გამომგონებელზე ვისაუბრეთ. შეგახსენებთ, რომ ამ თამაშის გამომგონებელმა, რომელსაც ერთ-ერთი ვერსიით სეტა ერქვა, დაფის პირველი უჯრისათვის მოითხოვა ხორბლის 1 მარცვალი, ხოლო შემდეგი უჯრებისათვის — წინაზე 2-ჯერ მეტი. რა თქმა უნდა, სეტამ იცოდა, რომ ეს ძალიან დიდი რიცხვი იყო.

რა მოხდებოდა, სეტას 2-ჯერ მეტი კი არა, 2-ით მეტი რაოდენობის ხორბალი რომ მოეთხოვა? მაშინ პირველ უჯრაში მისთვის უნდა მიეცათ 1 ხორბლის მარცვალი, მეორეში — 1+2=3, შემდეგში — 3+2=5 და ა. შ. ჩამოვწეროთ ეს რიცხვები ერთ მწკრივში:

1; 3; 5; 7; 9; 11; 13; 15;...

ამ მწკრივს კენტი რიცხვების მწკრივი ეწოდება. იგი უნდა გავაგრძელოთ ისე, რომ რიცხვების რაოდენობა 64-ს გაუტოლდეს. ეს შენც შეგიძლია დამოუკიდებლად გააკეთო. პირველ სტრიქონში აიღე ათი რიცხვი, ეს იქნება რიცხვები 1-იდან 19-მდე. მათ ქვემოთ მოათავსე მეორე ათეულის რიცხვები, ანუ რიცხვები 21-იდან 39-მდე; მესამე ათეულის რიცხვებია 41-იდან 59-მდე და ა. შ. თუ გააგრძელებ, მეშვიდე სვეტში მიიღებ ბოლო ოთხ რიცხვს: 121, 123, 125, 127.

ამრიგად, სეტას პირობას ოდნავ თუ შევცვლით, მივიღებთ კენტი რიცხვების შემდეგ მწკრივს:

1, 3, 5, 7, ... 121, 123, 125, 127;

მრავალწერტილში იგულისხმება ყველა დანარჩენი რიცხვი.

ჩვენი მიზანია, ვიპოვოთ ამ რიცხვების ჯამი, დავაწყვილოთ თავიდან და ბოლოდან ერთნაირად დაშორებული რიცხვები:

1+127=128, 5+123=128, 3+125=128, 7+121=128 და ა. შ.

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი ჯამები 128-ის ტოლია, ხოლო მათი რაოდენობა 32-ია (64:2=32), ამიტომ ყველა კენტი რიცხვის ჯამი 1-იდან 127-მდე იქნება 32.128=4096.

ამრიგად, თუ სეტა მეორე და შემდეგი უჯრებისათვის მოითხოვდა არა 2-ჯერ მეტს, არამედ 2-ით მეტს, მაშინ მისი „ჰონორარი" იქნებოდა 4096 ცალი ხორბლის მარცვალი.

ცნობილია, რომ 40 000 სასტამბო ნიშანი შეადგენს ერთ თაბახს (16 გვერდს). ანალოგიურად, ხორბლის 40 000 მარცვალი იწონის 16 კილოგრამს. რადგანაც რიცხვი 4096 თითქმის ათჯერ ნაკლებია 40 000-ზე, 4096 ხორბლის მარცვალი დაახლოებით აიწონის 16 კგ-ზე ათჯერ ნაკლებს, ანუ 1 კგ-სა და 600 გრამს.

თუ პირველ შემთხვევაში გაოცებას იწვევს სეტას მიერ მოთხოვნილი ხორბლის კოლოსალური რაოდენობა, ამჯერად არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს ხორბლის მიღებული რაოდენობის ასე მცირე წონამ.

დავალება იპოვე ზეპირად:

ა) 1-იდან 15-მდე ყველა კენტი რიცხვის ჯამი;
ბ) 1-იდან 10-მდე ყველა მთელი რიცხვის ჯამი;
გ) 1-იდან 20-მდე ყველა მთელი რიცხვის ჯამი.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის გიმნაზია

„გიმნაზიის დაარსების იდეა მაშინ გაჩნდა, როცა სკოლაში მუშაობა დავიწყე. პრაქტიკულმა მოღვაწეობამ მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ ცოდნა უნდა დაჰბრუნებოდა თავის დედას — რელიგიას. სხვაგვარად სამყაროს სწორი შემეცნება, სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდებოდა. ყველაზე მთავარი კი, რა თქმა უნდა, ის გახლდათ, რომ სკოლა დაახლოებოდა ეკლესიას.“

გიმნაზიის დამაარსებელი და პირველი რექტორი ზურაბ გუაძე

1992 წელს ამ იდეას ხორცი შეესხა და მისი უწმინდესობის საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით გაიხსნა წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია.

გიმნაზიის მთავარი მიზანია, აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც თავისი ცხოვრების წესითა და სამომავლოდ არჩეული ამა თუ იმ პროფესიით მოემსახურება ღმერთსა და სამშობლოს. გიმნაზიის დღევანდელმა რექტორმა ქალბატონმა **ნინო კახიანმა** არაერთი საინტერესო საქმე წამოიწყო: გიმნაზიელები აჭარის მაღალმთიანი რეგიონის — ხულოს რაიონის სკოლის მოსწავლეებს დაუმეგობრდნენ. სამი წლის განმავლობაში ეს მეგობრობა ნათესაობაში გადაიზარდა. პატარა გიმნაზიელები ხულოელი თანატოლების ნათლიები გახდნენ, ოჯახებიც დაახლოვდნენ. ზაფხულში თბილისელები სტუმრობდნენ ხულოს, ამ დღეებში კი მთელი გიმნაზია აჭარელ მეგობრებს მასპინძლობდა.



გიმნაზიაში მოქმედებს ტურისტული კლუბი „გზა“. ტაძრების მოსალოცად და ბუნებასთან დასაახლოებლად გავლილი გზა უბრალო ექსკურსიებს არ ჰგავს. მას მეტი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს.

ანი მამაცაშვილი

დარიგება

წიგნს თუ აღარ გადაშლით,
ნატული და ღვთისო,
აბა, ვიღა ისწავლის?
მურია თუ ფისო?

იცით, ქიაქებო და
ზარმაცებო, რა გითხრათ?
ეს ქვეყანა აშენა
ნასწავლმა და ნაკითხმა.

აკი უთქვამთ წინაპრებს
დიდი სიბრძნე მართლაც:
ქვაზე ხეპრე დაჯდა და
ქვა ქვას დაემატა.

ზაალ ეგანოიძე

ნეტავ გამაგებინა

ზაკოს უთხრეს წუხელ:
ვენახები ტირისო...
— ნეტავ გამაგებინა,
იმათ ვინ უყვირისო.

პატარა მხატვარი

პაწაწინა ზაკუნა
მხატვარია ნაქები,
დიდი ქორი დახატა
ბებოს ნაყიდ ფანქრებით.
— თვალები რომ არა აქვს?!
გაბმა ბევრი იცინა...
— ასე უფრო კარგია,
ვერ მოგვპარავს წიწილას.

ნუნუ ქამუკაშვილი

ერთი თხილის გულ

დილას ნუკრიმ ერთი თხილი
ვაზიდან რომ აიღო,
დედამ უთხრა: ერთი თხილი
ცხრა ძმამ ტოლად გაიყო.
— მერე ეყოთ? — ნუკრი-ბიჭი
გამოცნობას ცდილობს.
— ერთმანეთი რომ უყვარდათ,
იმყოფინეს, შვილო!

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ქართული ადათ-წესები

საქართველოს ზოგიერთ ნაწილში (გურია, სამეგრელო, ქვემო იმერეთი) ახალ წელს ხვდებოდნენ ჩიჩილაკით, რომელიც შაადებოდა ახალი წლის წინ. დაახლოებით 1 მეტრის ჯოხს (ხახლის ან სხვა) და ათლილი ბურბუშელით ამკობენ. ბურბუშელები ქართულ წარმართულ პანთეონში ერთ-ერთი ღმერთის — ბახილას ჭაღარა წვერებად აღიქმებოდა, უფრო გვიან, ქრისტიანობის ხანაში კი წმინდა ბასილს უკავშირდებოდა.

ჩიჩილაკი ზედა ბოლოში ოთხად იპობა, საპობში — პატარა, წვერში კი კარგად გათლილი ჯოხები მაგრდება. ჩიჩილაკს წამოაცმევდნენ შუაში გახვრეტილ მრგვალ ღვეზელს (მზის სიმბოლო), ჯოხებზე კი ბროწეულს (გამრავლების სიმბოლო), ვერცხლის ფულებდარჭობილ ვაშლებს და ცომისგან გამომცხვარ მამლის ფიგურებს (მზის ფრინველი). ამ საახალწლო ხეს ამკობდნენ კაკლებით, ტკბილეულით, გიშრისა და ქარვის კრიალოსნებით (ავი თვალისგან დასაცავად), მარადმწვანე, წითელმარცვლიანი ბაძგთა და ფოთრით.

„ახალი წელი გურიაში“

„საკალენდოდ (ასე ეძახიან გურიაში ახალ წელს) მეზობელ თემასაგან ჩვეულებისამებრ მოგვივიდა ჩიჩილაკი ანუ წმინდა ბასილეს წვერები. ჩიჩილაკი იყო ჩამოხდილი ტყეურ ობოლ ლეღვის ნორჩებზე, ჰქონდა გრძელი თეთრი წვერები, თავზე დატანებული ჯვარედინა თავწვეტიანი ჯოხები.

— აბა ბიჭებო, თქვენ იცით, როგორ კარგად გაანწყობთ ჩიჩილაკს! — გვითხრა მამამ. ჩვენც გავიქეცით თახლობელ პატარა ტყისაკენ, მოვნახეთ სური და კურკანტელი (ეკლის ღიჭის წითელი მარცვლები). სალამოს, დედაჩემის შეშწეობით, კოპწია პატარძალივით მოვრთეთ. რა გინდოდა, სული და გული, რომ „ბაბუას“ წვერებზე არ იყო: სური, კურკანტელი, ქარვა, აბრეშუმის ლანდი, ფოროოხალი, ფოჩიანი კანფეტი, ბროწეული, მსხალი, წითელი ვაშლი და სხვა. თავზე ჰქონდა ჩამოცმული მრგვალი ხაჭაპური - ერთი დიდი და ორიც პატარა. ასე მორთულ-მოკაზმული მივაყუჯეთ სახლის აღმოსავლეთ კუთხეში.“

აპოლონ გურული, „ნაკადული“, 1910 წ. №2

ახალი წლის მეორე დილას მთელ საქართველოში „მეკვლის“ დღეს ანუ, ძველებურად, „ფერხვაობას“ — ცეკვის დღეს უწოდებენ. მეკვლე „ფეხბედნიერს“ ნიშნავს. ის გამთენიისას პირველი უნდა მივიდეს მასპინძლის სახლში და რაც იმ წელს სიკეთე ან ცუდი ამბავი მოუვა ოჯახს, მეკვლის ბედზეა დამოკიდებული.

„ახალი წელი ფშავში“

„ჯერ ისევ დილა იყო, რომ სახლის კარებზე ჯახანი რაღაცამ მოიღო. ეს იმას მოახწავებდა, გარედან ვიღაცა გვეძახოდა — დაძახება ახალ წელიწადს კარგი არ არის, — მეკვლის მოსვლის ნიშანი იყო.

გავაღე კარები, დავინახე მეკვლე, ჩემავე მეზობელი რამაზი, თავზე ჩამოფხატული ბანჯგვლიანი ქუდით, დური ტყავში გახვეული.

„მოიტეთ კვერი, აბა სად არი?“ — ამის მეტს არაფერს ამბობდა. მეც მივაგებე საოჯახო ბედის კვერი — თეფშის ტოლა ხმიადი, რომელიც სამჯერ შემოვაორა სახლში. მე თვალს ვადევნებდი, წადა დადგებოდა თუ უკუღმა. შეასრულა მეკვლემ თავისი წესი, დალოცა ღმერთი, რომ კვერი სამივეჯერ წადა შემოტრიალდა! ეს კარგის ნიშანი იყო.

შემოვიდა სახლში და წარმოსთქვა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი, ვვალი ანგელოზისა.“ ამოიღო ვაშლის ნაჭრები და ყველა სათითაოდ „დაგვაბერა.“, თანაც ამ სიტყვებს ატანდა: „დიდი გიმატებია, დიდი გიმატოს ღმერთმა, — ახალმა წელმა ახლის წლის გამოცვლამდეო.“

ვაჟა ფშაველა, „ნაკადული“, 1909 წ. №1

ბაჩო ჩუბინიძე

2000 წელი — რადიო „ფორტუნას“ დაჯილდოვების ცერემონიალი, „წლის ყველაზე პატარა მომღერალი“.

2000 წელი — „მეგას“ დაჯილდოვების ცერემონიალი, დიპლომანტი.

2001 წელი — „კომუნას“ ოფიციალური, მსოფლიო ოცეულის მერვე ადგილის მფლობელი.

2001 წელი — „მეგას“ დაჯილდოვების ცერემონიალი, ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ გამარჯვებული.

2001 წელი, ნოემბერი — „სუპერ-გალას“ მონაწილე და დიპლომანტი.

2002 წელი — „მეგას“ დაჯილდოვების ცერემონიალი, ნომინაციაში „წლის სიმპათია“ გამარჯვებული.

2002 წელი — ფესტივალი „თბილისური ჰანგები“ „თბილისობა 2002“. ნომინაციაში, ქართული ესტრადის, პოპულარული პატარა მომღერალი“ გამარჯვებული.

კომისარ თანდილას საქმე № 002



„ქ. თბილისის №XXXXX ბაგა-ბაღის აღმზრდელები შეშფოთებულები ვართ ჩვენს დაწესებულებაში ბოლო ხანს მომხდარი მოვლენებით: ბავშვები აღარ გვემორჩილებიან. საქმე იქამდე მივიდა, რომ გუშინ მათ უვადო კევობანა გამოაცხადეს (შიმშილობის ახალი ფორმა: არაფერს ჭამენ და გაუთავებლად ღეჭავენ კევს).

მოშიმშილეთა მოთხოვნებია: 1. აღმზრდელთა სამეტყველო ლექსიკონიდან აკრძალვითი ფორმების ამოღება; 2. ბაღის შენობის ყველა კუთხის გაუქმება (ოვალური შენობის აგებამდე); 3. მენიუში ყველა სახის წვნიანისა და ფაფის შეზღუდვა სრულ გაქრობამდე!

მდგომარეობა დღითი დღე უმართავი ხდება. სასწრაფოდ გვჭირდება თქვენი დახმარება!!!“



„კომისარი თანდილა გაუფყეგო, რომ ფაკავეგლია ჯრიგინაგური ფარულის მძიმე ფანგაბაბეგი.“



ნიკა და კიდევ ნიკა, ე. წ. ორნიკოს ბანდის ფევრეგი,





რომლეგსაც ბრალად ედეგათ:

დისკოთეკაზე აყალმაყალისა და ლებოშის ატეხა; შეს „ნაყინ-კანფეტ-ბურბუშელა-მომარაგების“ კუთვნილი ქონების დანიავება; სკვერიდან ფოტოგრაფის ცხენის გატაცება და ა. შ.

დედაქალაქში დაბრუნებულებმა ცუდი გავლენა მოახდინეს თანაბაღელებზე. დამნაშავეთა მიმართ მოვითხოვთ სასჯელის განსაკუთრებულ ზომებს — საგანგებო მენიუს წვნიანებისა და ფაფების დაძალებით.“

მთავარი რედაქტორი ლიდო ფიკოფიკაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ალეკო ბაბილაია, ნანი კაკაბაძე, ნანა კვარაცხელია, მაგდა კვაჭანტირაძე, გია ლაფაური, თეა მიქაია, თამარ ნინიკაშვილი

ყდაზე ნახატი გია ლაფაურისა

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30; გამოდის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

Ер 153

უკვე 10 წელია, რაც გამომცემლობა „როსმენი“ წიგნის ბაზარზე გამოჩნდა. ამ ხნის განმავლობაში ის რუსეთში საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთ უძლიერეს გამომცემლობად იქცა.

მრავალფეროვან გამოცემათა შორის ატლასები და ენციკლოპედიები გამომცემლობის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. თუ ადრე ამ ტიპის გამოცემებში ლიცენზირებული, უმეტესად ინგლისური გამომცემლობა „Usborne Publishing Ltd“-ის წიგნები ჭარბობდა, ახლა უპირატესობას რუს ავტორებსა და დიზაინერებს ანიჭებენ.

დღეს უკვე წარმოუდგენელია საოჯახო ბიბლიოთეკა „როსმენის“ წიგნების გარეშე.

ეს არ არის რეკლამა, ეს სტატისტიკაა!

Уже 10 лет как издательство „Росмэн“ впервые появилось на книжном рынке. За этот период оно стало одним из крупнейших издательств детской литературы в России.

Среди многообразных изданий „Росмэна“, Атласы и Экциклопедии стали своеобразной визитной карточкой издательства.

Если в начале преобладали издания лицензионных книг данного типа, в основном английского издательства „Usborne Publishing Ltd“, то на сегодняшний день издательство больше внимания уделяет книгам русских авторов и дизайнеров.

Сегодня невозможно себе представить семью, в библиотеке которой не было бы книг издательства „Росмэн“. И это не релама, это — статистика!